პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 109 (3593)

1968 წ. 5 ივნისი. ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

უსაკაძე ტრაღიციას არ ღალატობს

ლენინგრადის ტრეკზე გაიმართა სსრ კავშირის ველოსპორტსმენთა I ჯგუფის გუნდების წარმომადგენელთა ასპარეზობა. ლენინის ქალაქში შეიკრიბა ჩვენი ველოსპორტის მთელი თანავარსკვლავედი. არ იყო მხოლოდ ო. ფხაკაძე, რომელიც თბილისელ თანაგუნდელებთან ერთად კიევში გამოდიოდა II ჯგუფის გუნდების შეჯიბრებაში.

500 მეტრზე გიტში სვლით გაიმარჯვა ხარკოველმა ს. კრავცოვმა — 31,4. II და III ადგილები შესაბამისად წილად ხვდათ მოსკოველებს ა. პოლიტაევსა და ვ. ტორმოზოვს. ქალთა შეჯიბრება ველოსპორტის ამ სახეობაში მოულოდნელი შედეგით დამთავრდა. გამარჯვების იმედი ბევრ სახელმოხვეჭილ სპრინტერს ჰქონდა, მაგრამ ყველას აჯობა მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორმა გამოდევნებით რბოლაში, ხარკოველმა რ. ობოდოვსკაიამ. მანვე მოიგო გამოდევნებით რბოლა 3 კილომეტრზე. გიტში შეჯიბრება ხარკოვის გუნდის წარმომადგენლის ი. ცელოვალნიკოვის გამარჯვებით დამთავრდა — 1.10,5.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. ტულა, 2. მოსკოვი, 3. ლენინგრადი.

კიევში ორი გამარჯვება იზეიმა მსოფლიოს ეკს-ჩემპიონმა ო. ფხაკაძემ: 500 მეტრზე გიტში სვლით (30,5 წამი) და სპრინტში.

30-წუთიან სალიდერო რბოლაში ტოლი არ ჰყავდა თბილისელთა დუეტს — ო. პროკოპენკოსა და ი. კავსაძეს (ლიდერი). მათ 30 წუთში 29 კმ და 21 მ გაიარეს.

ამ წარმატების მიუხედავად, თბილისის გუნდი საპრიზო სამეულის მიღმა დარჩა. I ადგილზეა ყაზახეთი, II — უზბეკეთი, III — კიევი.

• • •

სურათზე: ო. ფხაკაძე ასპარეზობისას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

დღეს! ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალები

ნეაპოლში: იტალია — სსრ კავშირი

ტელერეპორტაჟი 19 საათსა და 55 წუთზე (თბილისის დროით)

ფლორენციაში: ინგლისი — იუგოსლავია

ტელერეპორტაჟი 23 საათსა და 10 წუთზე (თბილისის დროით)

რეპორტაჟი „საფეხბურთო მექადან“

ნეაპოლი, 4 ივნისი (საკუთარი სპეც. კორ. ა. კაჩალოვი და ვ. პოპოვი). ჭეშმარიტად „საფეხბურთო მექად“ იქცა ამ დღეებში იტალია. ყველას პირზე აკერია ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი ტურნირის მატჩები. და ამიტომაც „გამოეხმაურა“ ამ ამბავს: თითქოს ფეხბურთელთა და გულშემატკივართა დაკვეთით ამ დროისთვის უჩვეულო ცივი დღეები მზიანი დარით შეიცვალა.

ოთხი საფეხბურთო რაზმი — იტალია, სსრ კავშირი, ინგლისი და იუგოსლავია, რომლებმაც შესარჩევი და მეოთხედფინალური თამაშების „საცერი“ გაიარეს, მზად არიან ეკვეთონ ერთმანეთს.

რა თქმა უნდა, თავდავიწყებული იტალიელი „ტიფოზები“ დარწმუნებული არიან, რომ მათი სათაყვანო „სკუადრა აძურა“ მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში მარცხის შემდეგ თანამემამულეებს დიდი გამარჯვებით გაახარებს. მაგრამ პრეტენზიებს არც სტუმრები მალავენ: ყოველ შემთხვევაში, სამივე მწვრთნელმა — ა. რამსეიმ, მ. მიტიჩმა და მ. იაკუშინმა, რომლებსაც

ფეხბურთი

-68

აურაცხელი იტალიელი და უცხოელი ჟურნალისტებისგან მოსვენება არა აქვთ, თითქოს ერთი შეკრესო — გაგაცხადეს: „გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“.

„მარადიულ ქალაქში“ უკანასკნელნი საბჭოთა ფეხბურთელები ჩამოვიდნენ. ისინი უმალვე მოექცნენ იტალიელი ჟურნალისტების დიდი ჯგუფის ტყვეობაში. უპირველესად ყოვლისა, დამხვდურებს აინტერესებდათ ოსტრავაში სამჭოთა გუნდის მარცხის მიზეზები და ჩვენი ნაკრების შემადგენლობა ნეაპოლის მატჩში. იაკუშინი ჩვეულებისამებრ სიტყვაძუნწი იყო: „ჩვენ ორმაგი მარცხი ვიწვნიეთ — დავკარგეთ მექსიკის საგზური და რამდენიმე მოთამაშე. თითქმის ნაღდად ვერ გამოვლენ მიხდორზე ანიჩკინი და ხურცილავა, სამუდამოდ პირველ მატჩში ჩისლენკოსა და ისტომინის მონაწილეობაც. მოგვიხდება შემადგენლობის თავიდან „აკრეფა“. მაგრამ ჩვენ აქ წასაგებად როდი ჩამოვედით“.

თითქმის 2 საათი დაჰყო ჩვენმა გუნდმა რომში, საღამოს კი იგი მოთავსდა ნეაპოლის სასტუმრო „ედიტერანეოში“, რაც იტალიურად ხმელთაშუა ზღვას ნიშნავს. დღეს, დასავლეთგერმანელი არბიტრის ჩენჩერის (მან იმსაჯა მოსკოვის მატჩი უნგრელებთან) სასტარტო სასტვენამდე ზუსტად ერთი დღე-ღამის წინ, იაკუშინმა და მეორე მწვრთნელმა ვ. ცარიოვმა გუნდის წევრებთან პატარა ვარჯიში ჩაატარეს — გაეცნენ „სან-პაულუს“ სტადიონის მინდორს.

მხოლოდ იტალიელთა მწვრთნელს ვალერიჯის აქვს შესაშურად საქმე. 22 საუცხოო ფეხბურთელი ფეხდაფეხ დასდევს თავის დამრიგებელს და 11-ის რიცხვში მოხვედრას ეშუდარება. შიშობენ, ვაი თუ განზე დარჩეს „ტიფოზების“ ერთ-ერთი უმთავრესი კერპი ალბერტოზი. მთავარ დამკვრელ ძალად ვალკარეჯი ფორვარდებს მაცოლას, რივერას და იტალიური ფეხბურთის ახალ ვარსკვლავს პრატის ვარაუდობს. ახლა „სკუადრა აძურას“ ფეხბურთელები მწვრთნელთა მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ პატარა ქალაქ ფიუჯის სპორტულ ბაზაზე არიან: აქ ჟურნალისტებსაც კი არ უშვებენ. ოთხშაბათს, დღის მეორე ნახევარში, იტალიელები პირდაპირ ნეაპოლის სტადიონზე მოვლენ პოლიციელთა დიდი ესკორტის თანხლებით.

ყოველივე ამას უნდა დავუმატოთ, რომ იტალიელებმა იციან მეტოქეთა ძალის დაფასება და პატივისცემა. „რუსები არა მარტო კარგი ფეხბურთელები, არამედ სანაქებო ათლეტებიც არიან, — წერს იტალიის დებეშათა საagენტო ანსა, — და მათ შესწევთ მატჩის მოსაგებად საჭირო ძალაცა და ენერგიაც. მათმა მარცხმა ოსტრავაში ჩვენ ილუზიების საბაბი არ უნდა მოგვცეს მიუხედავად იმისა, რომ კარში არ იდგება ბრწყინვალე ივაშინი, ნახევარდაცვაში არ იქნება ვორონინი, ხოლო ჩისლენკოსა და ხურცილავას მონაწილეობა მატჩში ძალზე საეჭვოა. მათს ნაცვლად ვიხილავთ ახალგაზრდა პშენიჩნიკოვს, დაცვაში — აფონინს“.

იტალიის მიწაზე ყველა მეტოქეზე ადრე მიიღო „აკლიმატიზაცია“ იუგოსლავიის ნაკრებმა. მისმა ხელმძღვანელმა მ. მიტიჩმა სხვა მწვრთნელებზე ადრე დაასახელა „თერთმეტი ცხობილი“: პანტელიჩი, ფაზლაჩიჩი, დამიანოვიჩი, პავლოვიჩი, პაუნოვიჩი, ჰოლგერი, პეტკოვიჩი, ოზიმი, მუსემიჩი, ტრავიჩი და ჯაიჩი. იუგოსლავიელებმა მოასწრეს ფლორენციაში საწვრთნელო თამაშის ჩატარება — ადგილობრივი სამოყვარულო გუნდის „კათოლიკა ვირტუსის“ კარში გაიტანეს... 14 „მშრალი“ ბუთი. მიტიჩი მშვენივრად იცნობს თავის მეტოქეს — ინგლისის გუნდს. ამ ერთ თვეში მან ოთხჯერ უყურა ინგლისელთა მატჩებს. „ჩვენი მთავარი ამოცანაა შევბოჭოთ დაუცხრომელი ბობი ჩარლტონი“, — თქვა მიტიჩმა.

სერი ა. რამსეიც მშვიდადაა — მას იმედი აქვს თავისი „ბვირგვინოსანი“ ხელქვეითებისა. იტალიაში მან მსოფლიოს VIII ჩემპიონატის ფინალური მატჩის 10 მონაწილე ჩამოიყვანა და სასტარტო ოქმში ყველას შეტანას აპირებს. რამსეის აზრით, გამოცდილებამ თავისი უნდა გაიტანოს. „ვალდებულნი ვართ დავამტკიცოთ ჩვენი რეპუტაცია უძლიერესი გუნდისა არა მარტო მსოფლიოში, არამედ ევროპის კონტინენტზეც“.

ნეაპოლისა და ფლორენციის მატჩების შემდეგ, 5 ივნისის საღამოს ცნობილი გახდება ევროპის ჩემპიონატის ფინალისტთა სახელები. ბილეთები დიდი ხანია გაყიდულია, გამოთქმულია მრავალფეროვანი პროგნოზები. „ფეხბურთის“ ტალღაზეა გადართული რადიომიმღებები და ტელევიზორები და არა მხოლოდ იტალიის ქალაქებსა და სოფლებში...

კვთილ სტარტს გისურვებთ, საბჭოთა ფეხბურთელებო!

ვინ გაიმარჯვებს?

ფოტო ვ. დედოვისა („პრავდა“).

საგზურები განაწილდა

სოფიაში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი. ასპარეზობაში ჩაება ევროპის 14 გუნდი, რომელთა დავაში უნდა გადაწყვეტილიყო მექიკოს 2 საგზურის ბედი. მონაწილენი ორ ჯგუფად დაიყვნენ. „ა“ ჯგუფში „დაშნები გადაეჯდვეს“ ინგლისის, ისრაელის, პოლანდიის, პოლონეთის, საფრანგეთის, შვეიცარიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებმა, „ბ“ ჯგუფში — ბულგარეთის, გდრ-ის, გფრ-ის, იუგოსლავიის, ფინეთის, ავსტრიისა და საბერძნეთის კოლექტივებმა (სსრ კავშირის სპორტსმენები — მსოფლიოს ჩემპიონები თამაშებში პირდაპირ არიან დაშვებული).

ჯგუფებში ორ-ორმა გამარჯვებულმა შექმნა ფინალი, სადაც გაიმართა გადამწყვეტი მატჩები. „ა“ ჯგუფში იმარჯვეს ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის გუნდებმა, „ბ“-ში — იუგოსლავიისა და ბულგარეთის კალათბურთელმა ვაჟებმა.

ფინალში შესანიშნავად ითამაშეს იუგოსლავიელებმა. მათ ჯერ პოლონელებს მოუგეს (90:56), შემდეგ ბულგარელებს (70:62) და ტურნირის დამთავრებამდე დაეპატრონენ ერთ საგზურს.

მეხიკოს მეორე საგზურის მფლობელი უნდა გამოევლინა ბულგარეთისა და პოლონეთის კოლექტივების ორთაბრძოლას. მასპინძლებმა ძნელ გამარჯვებას მიაღწიეს — 70:69.

ოლიმპიური ამბები...

◆ სტოკჰოლმი, 4 ივნისი. 23 წლის გეტებორგელი დურგალი, სწრაფად მზარდი სპორტსმენი ბუ იუჰანსონი ბოლო 25 წლის მანძილზე პირველი შვედი ძალოსანია, რომელმაც მსოფლიო რეკორდი დაამყარა. შვეცია — უელსის მატჩში მან 172,5 კგ აჭიმა, რაც 1 კილოგრამით სჯობს ოლიმპიური ჩემპიონის ვ. გოლოვანოვის მსოფლიო რეკორდს ქვემძიმე წონაში. სამჭიდის ჯამში იუჰანსონმა მეორედ აწვინა 500 კგ. ეს ზღვარი აქამდე დაემორჩილა მხოლოდ საბჭოთა ძალოსანს, ესტონელ ი. ტალტსს, რომელსაც ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი — 510 კგ. შედეგების სტაბილურობის წყალობით ხუჰანსონი შეხიკოს ოლიმპიური ჯილდოს ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია. თავად სპორტსმენმა ზემოხსენებული შეჯიბრების შემდეგ ჟურნალისტებს უთხრა: „ყოველდღიურად ვგრძნობ ძალის მატებას. ვინ იცის, იქნებ მომავალ ოლიმპიადაში გამარჯვებაც მოვიპოვო“.

◆ ბუქარესტი, 4 ივნისი. აქ დამთავრდა რუმინეთის დედაქალაქისა და ლენინგრადის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების ტრადიციული მატჩი. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 12,5:8,5.

◆ პარიზი, 4 ივნისი. საფრანგეთის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატს სსრ კავშირის ჩემპიონი, მოსკოველი გ. ბაკშეევაც გამოეთიშა. მეოთხედფინალში გასასვლელად გამართულ უაღრესად მწვავე ბრძოლაში იგი დამარცხდა ამერიკის შეერთებული შტატების მეორე ჩოგანთან ნ. რიჩისთან — 8:10, 6:4, 1:6. მაყურებელთა შორის უკვე ვხვდებით ორ პროფესიონალ ჩოგბურთელ ქალს — რ. კაზალსს (აშშ) და ფ. დიურს (საფრანგეთი). კაზალსი მექსიკელი ხ. სუბირატსის მსხვერპლი გახდა, ხოლო ფრანგი — ავსტრალიელი გ. შერიფისა — 3:6, 3:6.

გოლო დღეს გაიაფყდა

დამთავრდა თბილისის ვაჟთა პირველობა რუსულ შაშში. ტურნირში 15 სპორტსმენი მონაწილეობდა.

ჩემპიონობის საკითხი მხოლოდ შეჯიბრების ბოლო დღეს გაირკვა. შეჯიბრების ერთმა ლიდერმა გ. მინასიანმა შეძლო მეტოქის დამარცხება, ხოლო მეორემ — ა. ჩარეიშვილმა ყაიმის მეტს ვერ მიაღწია. ამრიგად, I ადგილი დაიკავა გურამ მინასიანმა — 12,5 ქულა. ჩარეიშვილმა 12 ქულა მოაგროვა და II ადგილზე დარჩა.

საქართველოს პირველობაში თამაშის უფლება მოიპოვეს, აგრეთვე, 27-ე საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლემ ბ. შავერდიანმა (III ადგილი, 10 ქულა), ოსტატობის კანდიდატებმა ნ. მამაკოვმა (IV, 9,5) და ჯ. კარაბახიანმა (V, 9).

ს. პაპლაჯიანი,
პირველობის მთავარი მსაჯი, სპორტის ოსტატი.

მოზარდთა რესპუბლიკური თამაშები

ფოთელებმა თავი ისახელეს

ახლახან ფოთში გაიმართა ხელბურთელთა ასპარეზობა. თბილისელი გოგონებისა (მწვრთნელი ლ. სოროკინი) და ჭაბუკების (ო. ქვენია) უპირატესობა თავიდანვე აშკარა იყო და თამაშების ჩემპიონის სახელიც მათ მოიპოვეს. II საპრიზო ადგილები ფოთელებს ხვდათ, რომელთაც ქ. ფაჩულია წვრთნის. ფოთელებისთვის ეს დიდი წარმატებაა. გოგონებში III ადგილი დაიკავეს ბათუმელებმა (ბ. ფირცხალაშვილი), ჭაბუკებში — რუსთაველებმა (ლ. ბრომელი).

ტურნირმა გვიჩვენა, რომ საქართველოს დიდ ქალაქებსა და რაიონებში ხელბურთის განვითარებას ჯერ კიდევ ნაკლები უურადღება ექცევა. არაა გასხნილი ამ სახეობის ჯგუფები, მოზარდებთან არ ტარდება ყოველდღიური მუშაობა, არა აქვთ ინვენტარი, მოედნები... უნდა შევნიშნოთ, რომ პოზიციები დათმო ქუთაისმა. შარშან ამ ქალაქის ხელბურთელმა გოგონებმა I ადგილი დაიკავეს, წელს კი მხოლოდ IV ადგილს დასჯერდნენ (თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისელებმა წლევანდელ შეჯიბრებაში ყველაზე ახალგაზრდული გუნდი გამოიყვანეს).

ჭაბუკებიდან ორი-სამი ხელბურთელი თუ იყო მოსაწონი, ისეთი, რესპუბლიკის ნაკრების წევრად რომ გაზრდება. ესენი არიან სოხუმელი ა. სვანიძე, ფოთელი გ. ალანია და ჩაქველი ი. დემირჩევი. ამ მხრივ გოგონებს უკეთ აქვთ საქმე. ბევრს აქვს კარგი ფიზიკური მონაცემები, სწრაფი რეაქცია. უურადღება მიიქციეს თ. ჩაბრავამ (სოხუმი), ლ. ანიშჯოვამ, ლ. თევზაძემ (ორივე — ბათუმი), ც. ქვაჰაძემ (ქობულეთი), გ. ჯოლიამ, ე. როქკოვამ, მ. კუპრეიშვილმა (სამივე — ფოთი), ზ. ხოდოვამ (ცხინვალი) და სხვ.

საქართველოს მოზარდთა ნაკრები გუნდები თბილისელი და ზემოდასახელებული ნიშერი ხელბურთელებით დაკომპლექტდება. უახლოეს ხანში დაიწყება ამ გუნდების ერთობლივი წვრთნა, რათა მოზარდთა I საკავშირო თამაშების ფინალს ჯეროვნად მომზადებული შეხვდნენ.

გ. შარაშიძე,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სპორტკავშირის მთავარი მწვრთნელი.

* * *

ხუროთბაზე: ზევით — თბილისისა და ფოთის გოგონათა გუნდების შეხვედრის მომენტი; ქვევით — თამაშობენ თბილისისა და რუსთავის ჭაბუკი ხელბურთელები.

ფოტო ბ. გავრილენკოსი.

შედეგები შეჯამეს

ამ დღეებში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საქტო დარბაზში გაიმართა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტთა VI რესპუბლიკური თამაშების შედეგების შეჯამებელი საღამო.

საღამო გახსნა „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ გ. ცქიტიშვილმა. სტუდენტთა თამაშების შესახებ დამსწრეთ ესაუბრა „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს სასწავლო-სპორტული განყოფილების გამგე გ. სავანელი.

სტუდენტთა თამაშების საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე გავიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები. II ადგილი წილად ხვდათ ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებს, III — უნივერსიტეტისას.

მეორე ჯგუფის გუნდებში I ადგილზე გავიდა გორის პედაგოგიური ინსტიტუტი, II — თბილისის პუშკინის სახ. პედაგოგიური, ხოლო III — ბათუმის პედინსტიტუტი.

მესამე ჯგუფში საპრიზო სამეული ასე განაწილდა: I. სამედიცინო ინსტიტუტი, II. სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი, III. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

დასასრულს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტული კლუბის კინომოყვარეულებმა შეკრებილთ უჩვენეს თავიანთი ნამუშევარი, რომელიც სპორტულ თემატიკას ასახავდა.

ლ. გაგნიძე.

ცხინვალის სტადიონს ეს არ ეკადრება

სამხრეთ ოსეთის მოსწავლეთა XIX საოლქო სპარტაკიადაში მონაწილეობდნენ ქ. ცხინვალის, ჯავის, ლენინგორის, ზნაურისა და ცხინვალის რაიონების ნაკრები გუნდები. მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფრენბურთსა და თავისუფალ ჭიდაობაში.

მძლეოსანთა გუნდურ ჩათვლაში I ადგილი მოიპოვა ცხინვალის ნაკრებმა, II — ლენინგორისამ.

რამდენიმე შენიშვნა: სტადიონის მძლეოსნური სექტორები შეჯიბრებისთვის მომზადებული არ იყო. თარჯები შესაკეთებელია, სარბენი ბილიკები არც დახაზეს და არც მორწყეს. ამავე დროს, ბედროს სატყორცნ სექტორზე წყალი იდგა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ხელს უშლიდა ტურნირის ნორმალურად ჩატარებას.

საუკეთესო დარბაზში 64 სპორტსმენი იბრძოდა. ორი დღის საინტერესო ასპარეზობის შემდეგ სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: ა. მარგიევი, რ. თედეევი, ნ. სიუკაევი, ა. გაბუევი, ტ. პურიკაშვილი (ყველა — ცხინვალი), დ. ბურუაშვილი (ცხინვალის რაიონი), თ. ონიაშვილი (ლენინგორის რაიონი), ფ. ჩოჩიევი (ცხინვალი), გ. შავარდენიძე (ცხინვალის რაიონი), გ. ოთინაშვილი (ცხინვალი).

გუნდური აღგილები ასე განაწილდა: 1. ცხინვალი, 2. ლენინგორი, 3. ცხინვალის რაიონი, 4. ჯავა, 5. ზნაური.

ცხინვალელთა უპირატესობა ფრენბურთშიც აშკარა იყო. II აღგილზე გავიდნენ ზნაურისა (გოგონათა) და ჯავის (ჭაბუკთა) გუნდები. III ადგილები წილად ხვდათ ცხინვალის რაიონის წარმომადგენლებს.

კალათბურთშიც პირველ აღგილზე გავიდნენ ცხინვალელები. გოგონებში II აღგილი დაიკავა ზნაურის კოლექტივმა, ჭაბუკებში — ლენინგორისამ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში, ცხადია, გაიმარჯვა ქ. ცხინვალის ნაკრებმა.

ვ. მელკოევი.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

რაიკომკავშირიდან

ჭიათურა

მოსწავლე მოჭადრაკეთა საქალაქო პირველობაში 13 ჭაბუკი მონაწილეობდა. I აღგილი დაიკავა ბ. ლოლაძემ (მე-3 საშუალო სკოლა) — 11 ქულა, II — ვ. პარენკოვმა — 10,5, III — ი. ელუაშვილმა (ორივე — რუსული საშუალო სკოლა) — 10.

თ. შეყილაძე.

გურჯაანი

სოფლის მძლეოსანთა რაიონულ კროსში 3000 მეტრზე რბენა მოიგო ვაზისუბნელმა კოლმეურნემ ვ. ვარდოსანიძემ — 11. 08,0. 8000 მეტრზე რბენაში უველას აჯობა მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის მუშამ ქ. გოდელაშვილმა — 31. 25,0. „კოლმეურნის“ რაიასაბჭოს ამ ტურნირში სულ 55 სპორტსმენი მონაწილეობდა.

ი. ოდიშელიძე.

* * *

სოფ. ახაშენის საშუალო სკოლაში ჩატარდა სპარტაკიადა სპორტის სამ სახეობაში. ჭადრაკსა და შაშში უველას აჯობა X კლასის მოსწავლე ვ. დურგლიშვილმა, მაგიდის ჩოგბურთში — მერვეკლასელმა ლ. გოდელაშვილმა.

თ. თევდორაშვილი.

თერჯოლა

„კოლმეურნის“ რაისაბჭომ ჩაატარა სოფლის სკოლების პირველობა მძლეოსნობაში. მონაწილეობდა 20 საშუალო და რვაწლიანი სკოლის 252 მოსწავლე. ტურნირში I ადგილი დაიკავა სიმთარვის რვაწლიანმა სკოლამ. II ადგილზეა ჩხარის საშუალო, ხოლო III — ჭევდა სიმონეთის რვაწლიანი სკოლის გუნდი.

ვ. კუტალაძე.

„მზიარული დელფინის“ 3 რეკორდი



ხუროთბაზე: ი. ზოტოვა სტარტზე.

ფოტო ო. გელაშვილისა.

„მზიარული დელფინის“ პრიზზე შიდასასკოლო შეჯიბრებების III ეტაპზე ათასზე მეტი ნორჩი მოცურავე გამოვიდა სარბიელზე, რესპუბლიკურ ტურნირში კი ბავშვთა 5 სპორტსკოლის 416 აღსაზრდელმა მიიყარა თავი. ამ ასპარეზობამ, რომელიც თბილისის „დინამოს“ აუზში ოთხ დღეს გრძელდებოდა, შეაჯამა ცურვის სპორტსკოლების მუშაობაც ნახევარი წლის მანძილზე. შეჯიბრება ამჯერად უფრო უხვმოსავლიანი იყო — სამმარისია ითქვას, რომ სამმა მონაწილემ საქართველოს ახალი რეკორდები დაამყარა.

1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ნორჩმა დინამოელმა პ. გეგორქიანმა 19.27,0 აჩვენა, რაც ჭაბუკთა ახალი რეკორდია. სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრებმა ირინა ზოტოვამ („განთიადი“) და თინა ლეკვეიშვილმა (ნორჩი დინამო) საქართველოს ქალთა რეკორდები გააუმჯობესეს. ზოტოვას შედეგი 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 2.37,4 — 4,9 წამით სჯობს მისსავე ძველ მიღწევას, ხოლო 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში ძველი რეკორდი ზუსტად ამდენივე დროით გააუმჯობესა ლეკვეიშვილმა — 2.38,5 (შემდეგ მან ეს შედეგი 2.34,8-მდე დაიყვანა მინსკში სსრ კავშირისა და იტალიის ნეონორთა საჭიდაობაში).

III ეტაპის შეჯიბრებაში თავი ისახელეს ნუნუ გელაძემ, გალინა იოკიმიდომ, რუსუდან მიქაძემ, გ. ზუმბულიემ, ნ. გამჯიაშვილმა, ნ. მაკაროვმა, ვ. ნიკოლოზოვმა, თ. ბახუტაშვილმა და სხვებმა. ჩემი აზრით, თუ ინტენსიური წვრთნის პირობებს შეეგუებიან [მშობლებმა მაქვს სასწავლო-სპორტული ბანაკი], ეს მოცურავეები რესპუბლიკურ და საკავშირო ნაკრებებიც დაიმკვიდრებენ ადგილს.

ტურნირმა ბევრი ნაკლიც გამოავლინა. მაგალითად, მონაწილეთა მნიშვნელოვანი ნაწილი სტარტისას კომკურიდან წყალში კი არ სტებოდა, არამედ, შეიძლება ითქვას, ვარდებოდა. გულაღმა ცურვაში თითქმის ვერც ერთმა ვერ აიღო ტექნიკურად სწორი სტარტი — დაბალი სტარტიდან კი არ სტებოდნენ, უბრალოდ, სრიალებდნენ. კვლავ დაბალია მობრუნების ტექნიკა. ბრასით ცურვისას კედელს ორი ხელით არ ეხებიან. სწრაფად მობრუნება განსაკუთრებით 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავეებს უჭირთ. მწვრთნელებმა ამას ყურადღება უნდა მიაქციონ.

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ ჩვენი სპორტსკოლები სტაიერების აღზრდისთვის ნაკლებად ზრუნავენ: 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 5 გუნდიდან მხოლოდ 3 ნორჩი დინამოელი ჩაება.

სსრ კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადასა და ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში საქართველოს მოცურავეები უხვიერად გამოვიდნენ. მომავალში მსავსი ამბავი რომ არ გამეორდეს, აქედანვე უნდა ვიზრუნოთ ფიზიკურად ძლიერი, ტექნიკურად სრულყოფილი სპორტსმენების აღზრდისთვის.

ლ. იოსკიმიდი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ტექნიკური შედეგები

გოგონები. თავისუფალი სტილით. **100 მ** — ნ. გელაძე (ნორჩი დინამო; 1958 წ. დაბად.) — 1. 41,2; რ. მიქაძე (ნორჩი დინამო, 1957) — 1. 22,5; **200 მ** — ლ. ოსიპოვა (ნორჩი დინამო, 1952)—2.39,1; ი. ზოტოვა („განთიადი“, 1954)—2.32,5; **ბრასით. 100 მ** — ე. იაკონიშოვა — („განთიადი“, 1958) — 1.42,5; რ. მიქაძე — 1. 37,4, ი. ეფიმოვა (განათლების განყოფილება, 1952) — 1. 27,7, **200 მ** — ტ. შელეხტი (განათლების განყოფილება, 1954) — 3.11,4; **გულაღმა. 100 მ** — მ. ხუბულაშვილი (ნორჩი დინამო, 1958) — 1. 42,5, ვ. პროსკურინა („განთიადი“, 1957)—1. 33,0, **200 მ** — თ. ლეკვეიშვილი (ნორჩი დინამო, 1955) — 2. 38,5, ი. ოჩინიაოვა (განათლების განყოფილება, 1953) —3. 03,5; **ბატერფლაით. 100 მ** — რ. მიქაძე — 1. 42,0, **200 მ** — ი. ზარგარიანი (ნორჩი დინამო, 1955) — 3. 19,9, ტ. სტრუნინა (განათლების განყოფილება, 1954) — 3. 12,7.

ჭაბუკები. თავისუფალი სტილით. 100 მ—ე. შაიდულოვი (ნორჩი დინამო, 1958) — 1. 25,3, ს. მაკაროვი (ნორჩი დინამო, 1956) — 1. 15,1; **200 მ** — ვ. გონჩაროვი (ნორჩი დინამო, 1954) — 2. 16,0, ს. მატვეევი (ნორჩი დინამო, 1952) — 2. 14,2; **ბრასით. 100 მ** — დ. ელიზბარაშვილი („ლოკომოტივი“, 1958) — 1. 38, 0, თ. ბახუტაშვილი (ნორჩი დინამო, 1957) — 1. 31,5, ს. ფეოკტისტოვი („განთიადი“, 1952) — 1. 16,0, **200 მ** — ა. იევლევი (ნორჩი დინამო, 1954) — 2. 42,7; **გულაღმა. 100 მ** — ე. შაიდულოვი — 1.32,6, ი. ბრიზგალოვი (ნორჩი დინამო, 1956) — 1. 28,9, ვ. სნიმშჩიკოვი (ნორჩი დინამო, 1953) — 1. 02,4, **200 მ** — მ. წიქარიძე (ნორჩი დინამო, 1954) — 2.38,0; **ბატერფლაით. 100 მ** — ე. შაიდულოვი — 1. 40,3, ი. ნიკოგოსოვი (ნორჩი დინამო, 1957) — 1. 31,9; ვ. ონუფრიენკო („შრომითი რეზერვები“, 1952) — 1.11,0, **200 მ** — დ. სირაძე (ნორჩი დინამო, 1955)— 2.45,2.

გუნდურ ჩათვლაში უველას აჯობებს ნორჩი დინამოელებმა.

აფრებით ოკეანის ტალღებზე

სპორტი ამერიკის კონტინენტზე

სტარტი აიღო აფროსანთა ჩვენი დროის ერთ-ერთმა უდიდესმა შეჯიბრებამ—ტრანსატლანტიკურმა რბოლამ. მისი მონაწილენი 1 ივნისს გავიდნენ ინგლისის ნავსადგურ პლიმუტიდან. მათ 3000 მილი უნდა გაიარონ და ნიუპორტში (აშშ) ჩავიდნენ. მოგზაურები ცალ-ცალკე ივლიან სულ სხვადასხვა კონსტრუქციისა და ზომის იახტებით. ამჯერად, კატამარანები (ორი ნავი ერთმანეთთან შეერთებული კორპუსებით) და ტრიმარანები (სამი კორპუსი) ჭარბობენ. იახტებზე ძრავები არაა, სპორტსმენება მხოლოდ აფრებით მიდიან. სამაგიეროდ, ნავებზე ავტომატურად მმართველი მექანიზმები დგას, რომ შეჯიბრების მონაწილეებს დროდადრო დასვენებისა და ძილის საშუალება ჰქონდეთ.

მრბოლელებმა თან წაიღეს წყლისა და საჭმლის მარაგი დაახლოებით ერთი თვის ან თვენახევრისთვის. მაგრამ მას, ვინც პირველი მივა ფინიშთან, სამი-ოთხი კვირის საგზალი ეყოფა. ყოველ შემთხვევაში, 1960 წლის პირველ ტრანსატლანტიკურ რბოლაში გამარჯვებულმა ინგლისელმა ფ. ჩიჩესტერმა, რომელმაც შემდეგ დედამიწის გარშემო მარტო ცურვით გაიოქცა სახელი, ატლანტიკის ოკეანე 40. დღეში გადაცურა. 1964 წელს მეორე ასეთი რბოლა მოიგო ფრანგმა ე. ტაბარლიმ, რომელმაც მოგზაურობას 27 დღე, 23 საათი და 57 წუთი მოანდომა. ბოლო შედეგი რეკორდად რჩება.

ამჟამინდელ, რიგით მესამე რბოლაში 10 ქვეყნის 35 აფროსანი ჩაება. მათ შორისაა ერთი ქალი — 26 წლის ედიტ ბაუმანი (გფრ), და... ერთიც ძაღლი, რომელიც ედიტმა თან წაიყვანა „მარტოობის შესამსუბუქებლად".

მაგრამ ბაუმანი მალე დაბრუნდა პლიმუტში და თქვა, ჩემს იახტას ჭარი არ მყოფნიდაო. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი კვლავ დაადგა ნიუპორტის გზას.

მაგრამ სტარტის შემდეგ პლიმუტში პირველი დაბრუნდა იტალიელი ა. კაროზო: მის კატამარანს „სან ჯორჯეჯოს" კილი გაუტყდა. სპორტსმენმა სასწრაფოდ გამოცვალა დაზიანებული ნაწილი და კვლავ მეტოქეების გზას მიჰყვა.

ვერცხლის თასისთვის ახპარეზობის სტარტზე უყველაზე დიდი სენსაცია იყო რბოლის ფავორიტის, უყველაზე დიდი იახტის მფლობელის, 36 წლის ტაბარლის დაბრუნება პლიმუტში. ფრანგი სპორტსმენის ნავი რომელიღაც სატვირთო გემს დაეჯახა და სერიოზულად დაზიანდა. ტაბარლიმ თურმე პორიზონტი მოათვალიერა, დარწმუნდა, რომ ირგვლივ არც ერთი გემი არ იყო და კაიუტაში ჩავიდა უკვის დასალევად. შეჯახებაც სწორედ მაშინ მოხდა. სასწრაფოდ შეუდგნენ ფრანგი სპორტსმენის იახტის შეკეთებას. ტაბარლი გულს არ იტეხს და უთუოდ ამირებს კვლავ სტარტის აღებას.

პლიმუტში დაბრუნდა დასავლეთგერმანელი აფროსანი ე. მაინემანიც.

სამხრეთ აფრიკის წარმომადგენლის ბ. დალინგის ნავს ერთ-ერთი ანძა გაუტყდა და, როგორც მან თავად რადიოტელეფონით გადასცა ლონდონს, „ერთ ადგილს ტკეპნის".

იმ მონაწილეებს, რომლებიც ცურვას განაგრძობენ, შეუძლიათ ხუთიდან ერთი მარშრუტი ამოირჩიონ. მაგრამ უველა გზაზე მათ ელით ტალღები, ქარი, ნისლი, შეიძლება, კატასტროფაც. რაც უნდა იყოს, ოკეანეა!

ვ. ბაბკინი.

საინტერესო ბრძოლის შემდეგ

III ჯგუფი

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 8 ივნისი.

„დინამო" (ბათუმი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 0:0.

„დინამო": კვახაძე, დომანოვი, ჭორიძე, სირბილაძე, გიორგიადი, ილურიძე, ოვანესიანი, ხაბიბულინი, გიორგაძე, მაისურაძე, ვერულიძე.

„ლოკომოტივი": ბერიძე, პანოვი, ონიანი, ფრიდმანი, გეგეჭკორი, ძაგანია, ბერძენიშვილი, მაზნაშვილი, მიქაშავიძე (მელიქიძე), ჭეიშვილი, შხვაცაბაია.

მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

დუბლიორები — 1:0 „ლოკომოტივის" სასარგებლოდ.

ბათუმელებმა, რომლებიც ბოლო დროსდე ლიდერთა ჯგუფში იმყოფებოდნენ, მარცხი განიცადეს ორ გასვლით მატჩში, ამასობაში კი „ლოკომოტივმა" დააგროვა ქულები და 3 ივნისისთვის უკ გუნდები პრინციპულ მოწინააღმდეგეებად იქცნენ სატურნირო ცხრილში.

დინამოელებმა თავიდანვე სცადეს საერთო ინიციატივის ხელში აღება. მართალია, ეს არ იყო იოლი საქმე, მაგრამ მასპინძლებმა მაინც მიაღწიეს მიზანს. უკვე მე-2 წუთზე ოვანესიანი საუკეთესო მდგომარეობაში აღმოჩნდა თბილისელთა კარის წინ, მაგრამ დაკარგა ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა. ამას მოჰყვა ბათუმელთა ახალი იერიშები და „ლოკომოტივი" იძულებული გახდა ღრმა ზურგში დაეხია კარის უგუნებლესაყოფად. მე-15 წუთზე ბერიძემ იხსნა თავისი გუნდი იღურიძის ძლიერი დარტყმის შემდეგ. ხოლო 37-ე წუთზე გიორგაძემ ძელს მოახვედრა ბურთი. ასე მიმდინარეობდა თამაში მთელი ტაიმის განმილზე და რვინოგზელებმა ვერაფრით ვერ შეძლეს სათანადო კონტრთამაშის შექმნა. გუნდს ფაქტურად მხოლოდ მაზიაშვილი ჰყავდა დატოვებული წინ, შეტევის ბაზზე.

მიუხედავად თამაშის ასეთი „ცალმხრივი" მიმდინარეობისა, მატჩი სანახაობრივად მაინც საინტერესო გამოდგა. დინამოელები მეორე ტაიმშიც გაგრძობდნენ იერიშს, მაგრამ „ლოკომოტივის" დაცვამ და მეკარემ შეძლეს



ტყიბულელებს წარუმატებლად ჩატარებული რამდენიმე თამაშის შემდეგ შინ აუცილებლად უსაჭიროებოდათ 2 ქულის აღება. გუნდმა თავიდანვე მტკიცედ აიღო ხელთ ინიციატივა. თოდიძის პირველივე წუთებზე შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ჭარჭაშაძის მიერ მიწოდებული ბურთი მან არასუსტად დაარტყა. ცოტა ხანში ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებოდა შარაშენიძე, რომელმაც გადაცემა მიიღო ამირანაშვილისგან. ზაბაროშვა ამჯერად შეძლო ძნელი ბურთის მოგერიება კუთხურზე. მართალია, შემდგომში მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა, მაგრამ სახიფათო მომენტები მაინც უფრო მეტად „ფოლადის" კართან იქმნებოდა. კერძოდ, ბურთი ორჯერ მოხვდა ძელს.

საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობით განაგრძობდა თამაშს „მეშახტე" მეორე ტაიმშიც, მაგრამ 67-ე წუთზე მის დაცვაში დაშვებული იქნა მიუტევებელი შეცდომა, რომელიც დაუყოვნებლივ გამოიყენა მამედოვმა — 1:0.

ამ მარცხს მოჰყვა ტყიბულელთა გაძლიერებული შტურმი. სუმბაითელთა კართან ზედიზედ იქმნებოდა სახიფათო მომენტები და ბოლოს, 86-ე წუთზე ანგარიში გათანაბრებულ იქნა. ეს ასე მოხდა: თოდიძის ძლიერი დარტყმა მოიგერია ზაბაროშვა. ბურთი კვლავ თოდიძეს მიუვიდა და როცა მას ხელმეორედ უნდა დაერტყა, მეკარემ ხელით შეაკავა თავდამსხმელი. 11-მეტრიანი დარტყმა ზუსტად გაამოიყენა აუშტროვმა — 1:1.

ზ. ჯიქორაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

სხვა შეხვედრები

„სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) 4:0, „თერგი" (გროზნო)—„ვოლგა" (ულიანოვსკი) 1:1, „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 0:0, „ტროიტელი" (უფა) — „რუბინი" (უანაო) 2:1, „ზვეზდა" (პერმი) — „ვოლგა" (გორკი) 3:2.

ივნისის კალენდარი

12. „შირაკი" — „მეშახტე", „ვოლგა" ულ. — „დინამო" მხ., „ტრაქტორი" — „ლოკომოტივი" თბ., „ვოლგარი" — „ფოლადი", „ვოლგა" გ. — „ტორპედო", „სპარტაკი" ი.-ო.—„თერგი", „რუბინი" — „სპარტაკი" ორ., „ურალმაში" — „სტროიტელი", „ლოკომოტივი" ჩ. — „ზვეზდა", „მეტალურგი" — „ზენიტი".

16. „დინამო" ბ. — „შირაკი", „ვოლგა" ულ. — „ფოლადი", „ტრაქტორი" — „დინამო" მხ., „ვოლგარი" — „ლოკომოტივი" თბ., „ვოლგა" გ. — „სპარტაკი" ორ., „სპარტაკი" ი.-ო. — „ტორპედო", „რუბინი" — „თერგი", „ურალმაში" — „ზენიტი", „ლოკომოტივი" ჩ. — „სტროიტელი", „მეტალურგი" — „ზვეზდა".

20. „მეშახტე" — „დინამო", ბ., „ვოლგა" ულ. — „ლოკომოტივი" თბ., „ტრაქტორი" — „ფოლადი", „ვოლგარი" — „დინამო" მხ., „ვოლგა" გ. — „თერგი", „სპარტაკი" ი.-ო. — „სპარტაკი" ორ., „რუბინი" — „ტორპედო", „ურალმაში" — „ზვეზდა", „ლოკომოტივი" ჩ. — „ზენიტი", „მეტალურგი" — „სტროიტელი".

27. „ტორპედო" — „ურალმაში", „სპარტაკი" ორ. — „მეტალურგი", „თერგი" — „ლოკომოტივი" ჩ., „დინამო" მხ. — „ვოლგა" გ., „ფოლადი" — „რუბინი", „ლოკომოტივი" თბ. — „სპარტაკი" ი.-ო., „დინამო" ბ. — „ვოლგა" ულ., „მეშახტე" — „ვოლგარი", „შირაკი" — „ტრაქტორი", „ზვეზდა" — „ზენიტი".

გუნდები, რომლებიც მონაწილეობენ სსრ კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალში, სსრ კავშირის პირველობაზე 27 ივნისს ნაცვლად გათამაშებენ 6 ივლისს.

ვენახლისა უშველა

ტყიბული. „განთიადის" სტადიონი. 3 ივნისი.

„მეშახტე" (ტყიბული) — „ფოლადი" (სუმგაითი) 1:1 (0:0).

„მეშახტე": ძიძიგური, უანჩველი, ჩუბინიძე (ჭიშკარიანი), ლორთქიფანიძე, ჩიტიანი, მესხიაჩენკო, შარაშენიძე, აუშტროვი, ამირანაშვილი, თოდიძე, ჭარჭაშაძე.

„ფოლადი": ზაბაროვი, ბაგიროვი, ნამაზოვი, ჯალილოვი, ილჩენკო, პუჩკოვი, ფედორცევი, ველიხანოვი, მამედოვი, ს. მანესიროვი, ვ. მანესიროვი.

მსაჯი ვ. ფარდმანი (კრასნოდარი).

დუბლიორები — 2:1 „მეშახტის" სასარგებლოდ.

ტყიბულელებს წარუმატებლად ჩატარებული რამდენიმე თამაშის შემდეგ შინ აუცილებლად უსაჭიროებოდათ 2 ქულის აღება. გუნდმა თავიდანვე მტკიცედ აიღო ხელთ ინიციატივა. თოდიძეს პირველივე წუთებზე შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ჭარჭაშაძის მიერ მიწოდებული ბურთი მან არასუსტად დაარტყა. ცოტა ხანში ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებოდა შარაშენიძე, რომელმაც გადაცემა მიიღო ამირანაშვილისგან. ზაბაროშვა ამჯერად შეძლო ძნელი ბურთის მოგერიება კუთხურზე. მართალია, შემდგომში მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა, მაგრამ სახიფათო მომენტები მაინც უფრო მეტად „ფოლადის" კართან იქმნებოდა. კერძოდ, ბურთი ორჯერ მოხვდა ძელს.

საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობით განაგრძობდა თამაშს „მეშახტე" მეორე ტაიმშიც, მაგრამ 67-ე წუთზე მის დაცვაში დაშვებული იქნა მიუტევებელი შეცდომა, რომელიც დაუყოვნებლივ გამოიყენა მამედოვმა — 1:0.

ამ მარცხს მოჰყვა ტყიბულელთა გაძლიერებული შტურმი. სუმბაითელთა კართან ზედიზედ იქმნებოდა სახიფათო მომენტები და ბოლოს, 86-ე წუთზე ანგარიში გათანაბრებულ იქნა. ეს ასე მოხდა: თოდიძის ძლიერი დარტყმა მოიგერია ზაბაროშვა. ბურთი კვლავ თოდიძეს მიუვიდა და როცა მას ხელმეორედ უნდა დაერტყა, მეკარემ ხელით შეაკავა თავდამსხმელი. 11-მეტრიანი დარტყმა ზუსტად გამოიყენა აუშტროვმა — 1:1.

ზ. ჯიქორაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

შინ და გარეთ...

3 ივნისს შედგა მორიგი ტურის მატჩები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

ზუგდიდიდან...

კარგად, დიდი მონდომებით ჩაატარა ადგილობრივმა „ენგურმა" მატჩი ქასპიისკის „ტრუდთან". ჯერ კიდევ დასაწყისში როგავამ, ბენდერაშვამ და აბრალავამ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს სტუმართა კართან. შემდეგ როგავა —ბენდერაშვას კომბინაცია დამთავრდა ზუსტი დარტყმით, მერე კი ქემულარიამ საუცხოოდ გამოიყენა როგავას გადაცემა — 2:0.

„ენგურის" თავდამსხმელები ტაიმის დასასრულამდე არ მოსცილებიან სტუმრების კარს და როგავამ 11-მეტრიანი დარტყმით 3:0-მდე აიყვანა ანგარიში.

შედგომარეობა შესვენების შემდეგ შეიცვალა. „ტრუდის" ფეხბურთელები გააქტიურდნენ და 55-ე წუთზე ივანოვმა შეძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა, დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა და „ენგურმა" გამარჯვებულმა დატოვა მინდორი — 3:1.

ბ. ალშიბაია.

სოხუმიდან...

მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებენ თამაშს სოხუმის დინამოელები. გუნდი შედის თავის საბრძოლო ფორმაში, რაც ნათლად იგრძნობა უყველ ახალ შეხვედრაში.

მატჩი თელავის „კახეთთან" სოხუმელებმა სწრაფ ტემპში დაიწყეს და მე-9 წუთზე ჯოპუამ გოლით დაამთავრა უზუნიანის გადაცემა — 1:0. დინამოელები განაგრძობდნენ შეტევას, თავდამსხმელები ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს, რომელთაგან ერთ-ერთი კარგად გამოიყენა გაბესკირიამ — 2:0.

თელაველებმა ვერ შეძლეს ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა მეტოქისთვის, რომელიც სულ უფრო მეტად აძლიერებდა იერიშებს. 56-ე წუთზე უზუნიანმა 25 მეტრიდან გაიტანა მესამე გოლი, ხოლო თამაშის დასასრულს ერქომაიშვილმა შეოთხედ აიღო „კახეთის" კარი.

ზ. ჯალაღონია.

ფოთიდან...

აღგილობრივი „კოლხეთის" მეტოქე ამ დღეს იყო დერბენტის „უროჟაი". ტრავმებისა და ავადმყოფობის გამო მასპინძლებს აკლდათ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე, რომელთა ტოლფასოვნად შეცვლა ახალგაზრდებმა ვერ შეძლეს.

ფოთელებს საერთო ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ „უროჟაიმ" შეძლო ფრედ დაემთავრებინა შეხვედრა — 0:0.

ა. ლოვაია.

რუსთავიდან...

აქაურმა „მეტალურგმა" რამდენიმე დაუმსახურებელი მარცხი იწვნია მიმდინარე გათამაშებაში, ამიტომ მაიკოპის „უროჟაისთან" სათამაშოდ გუნდი საგანგებოდ მობილიზებული გამოვიდა. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა შეხვედრის მეორე ნახევარში.

პირველ ტაიმში „მეტალურგმა" ვერ შეძლო ანგარიშის გახსნა. შემდგომში ლორთქიფანიძემ კარგად წამოიწყო კომბინაცია, რომელიც გააგრძელა გვენცაძემ და კარის წინ ჩაწოდა ბურთი მეტრეველს, ამ უკანასკნელის დარტყმამ ბიზანს მიაღწია — 1:0.

56-ე წუთზე „უროჟაის" მცველები უხეშად ეთამაშნენ გვენცაძეს, რისთვისაც დაინიშნა პენალტი. მეკარე რიეკოვმა მოიგერია დარტყმა, მაგრამ ბურთს კვლავ გვენცაძემ მიუსწრო და განამტკიცა თავისი გუნდის გამარჯვება — 2:0.

რ. გაბრიშიძე.

ცხინვალიდან...

საინტერესოდ, სწრაფ ტემპში წარიმართა ცხინვალის „სპარტაკის" შეხვედრა მახარაძის „მერცხალთან". მემდინარეობდა მე-3 წუთი, როცა ჯაჭვემა ხელსაყრელ პოზიციაში გაიყვანა გაბოძე და ანგარიში გაიხსნა — 1:0.



სტუმრები მაშინვე გადავიდნენ საპასუხო იერიშზე და 25-ე წუთზე პაპიაშვილმა სპარტაკელთა დაცვაში დაშვებული შეცდომის შემდეგ გაქვითა ეს გოლი — 1:1.

დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა მეორე ტაიმიც. როგორც მახარაძელებს (პაპიაშვილი, ისიანი, ქოშკელოვი), ისე მასპინძლებს (ჯიპოევი, გაბოძე) ჰქონდათ ბურთის გატანის კარგი მოშენტები. 65-ე წუთზე „მერცხლის" კარი აშკარა გოლს გადაარჩინა მცველმა თურმანიძემ. მეტოქეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები — 1:1.

ვ. ველქაძე.

ჰიათურიდან...

აღგილობრივი „მაღაროელის" შეხვედრა ლანჩხუთის „გურიასთან" დაიწყო ძლიერ ქარში, რომელიც შესვენებამდე მასპინძლებს ეხმარებოდა. მიუხედავად ამისა, პირველ წარმატებას მიაღწია „გურიამ". „მაღაროელის" მცველის შიქაიასა და „გურიის" თავდამსხმელ სხბარულიძის ბრძოლის შემდეგ ბურთი მასპინძელთა კარში აღმოჩნდა.

საპასუხო ბურთის გატანა ჰიათურელებმა შეძლეს მეორე ტაიმის დასაწყისშივე და გოლის ავტორი იყო პაველიჩოვი. მალე ჰიათურელები დაწინაურდნენ გონგლაძის მიერ გატანილი ბურთის შემდეგ, მაგრამ 79-ე წუთზე „მაღაროელის" მეკარემ შვანგირაძემ ვერ შეძლო ძიძიგურის მიერ შორიდან დარტყმული ბურთის მოგერიება და ანგარიში გათანაბრდა — 2:2.

სხვა მატჩები

„ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური) — „ურალანი" (ელისტა) 3:0, „ალანია" (ვლადიკავკაზი) — „ტორპედო" (არმავირი) 3:1, „უროჟაი" (ლენინგრადსკაია) — „უროჟაი" (სლავიანსკი) 2:0.

ისარი მიზანს ხვდებაკ

მშვილდოსანთა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველობაში მონაწილეობა მიიღეს სამხრეთ ოსეთის, მცხეთის, გურჯაანის, ახმეტისა და თელავის სპორტსმენებმა. ლენინგორში გამართულმა ბრძოლამ სამ დღეს გასტანა.

ფაქტა შორის უძლიერესნი იყვნენ — 70 მეტრზე სროლაში: I. ლ. ხაჩიძე (ახმეტა), II. ა. მღებრიშვილი (სამხრეთ ოსეთი), 50 მ: I. ა. მღებრიშვილი, II. ლ. ხაჩიძე, 30 მ: I. ა. მღებრიშვილი, II. ზ. მღებროვი (სამხრეთ ოსეთი).

ქალებში 60 და 30 მეტრზე სროლაში ჩემპიონი გახდა მ. მღებრიშვილი (სამხრეთ ოსეთი).

გუნდურ ჩათვლაში 1 ადგილი დაიკავა სამხრეთ ოსეთის ნაკრებმა —772 ქულა. II ადგილზეა თელავის რაიონის (348), ხოლო III — ახმეტის რაიონის კოლექტივი.

აღსანიშნავია შეჯიბრების მთავარი არბიტრის ი. ხუციშვილისა და მსაჯის ა. კაჟიანის კარგი მუშაობა.

ა. მარგიევი.
ლენინგორი.

ᲮᲐᲠᲚᲘ ᲮᲐᲯᲔᲒᲘ

● **ბუქარესტი**, 3 ივნისი. აქ გაიხსნა რუმინეთის დედაქალაქისა და ლენინგრადის მოჭადრაკეების ტრადიციული მატჩი. I ტურში დაწინაურდნენ სტუმრები — 3,5:2,5. პირველ დაფაზე მსოფლიოს საჭადრაკო გვირგვინის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა ვ. კორჩნოიმ დაამარცხა დიდოსტატი ფ. გეორგიუ. დანარჩენ შეხვედრებში მასპინძლებმა და ლენინგრადელებმა ორ-ორი გამარჯვება მოიპოვეს. 4 პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

● **ბრნო**, 3 ივნისი. მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ევა ლეხოცკამ 100 მ 11,3 წამში გაირბინა. 19 წლის ი. ალეკსამ 215 სმ სიმაღლე დაძლია, რაც 6 სანტიმეტრით აღემატება რ. ჰიუბნერის შარშან დამყარებულ ეროვნულ რეკორდს. აქვე შევნიშნავთ, რომ ჩეხოსლოვაკის უმაღლესი მიღწევა სიმაღლეზე ვაჟთა ხტომაში დახურული დარბაზებისთვის ასევე ჰიუბნერმა დაამყარა ამ ზამთარს რიგაში — 218 სმ.

● **პარიზი**, 3 ივნისი. წარმატებით განაგრძობს ასპარეზობას საფრანგეთის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში მოსკოველი გ. ბაშეევა. მესამე წრეში 8:6 დაამარცხა ნ. შატო (საფრანგეთი) — 6:3, 6:1 და მეთოქესმეტედფინალში გავიდა, სადაც შეხვედრა უწევს ამერიკელ ნ. რიჩისთან. ქალთა წყვილებრივ ტურნირში ბაშეევა — ა. დმიტრიევას დუეტმა ფარ-ხმალი დააყრევინა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენლებს ე. ემანუელსა და ჯ. ვუდროფს — 10:8, 8:6. მექსიკის ჩემპიონი, 19 წლის ხელენა სუბირატსი პირველი პრესკარული-ჩოგბურთელი გახდა, რომელმაც პროფესიონალს მოუგო. მან დაამარცხა რუხბერი კაზალსი (აშშ) — 6:4, 6:3. ამ გ. მარჯვებით ტანისორჩილმა ქერათმიანმა შეესია-კელმა მეოთხედფინალს მიაღწია. უძლიერეს რვა ჩოგბურთელ ვაჟთა შორის 5 პროფესიონალია და 3 მოყვარული — კოხი (ბრაზილია), ცირიაკი (რუმინეთი) და იოვანოვიჩი (იუგოსლავია).

● **ლონდონი**, 4 ივნისი. ინგლისის ტრადიციულ ველოტურში საბჭოთა მრბოლელები ლიდერობას ინარჩუნებენ — დაახლოებით 3 წუთით უსწრებენ მთავარ მდევრებს — ინტერნაციონალური გუნდის წევრებს. მორიგი, IX ტური (ლესტერი — გული, 177 კმ) მოიგო კიშინიოველმა ი. პოლუპანოვმა, მაგრამ ლიდერი მაინც ვერ გახდა. პირად ჩათვლაში კვლავინდებურად წინაა გ. პეტერსონი. II ადგილზე მიდის ომსკელი ვ. სოკოლოვი. მათ შორის სხვაობა ისევ დაახლოებით 8 წუთია.

● **ლონდონი**, 4 ივნისი. **880 იარდზე რბენაში ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა კრის კარტერმა (დიდი ბრიტანეთი) — 1.47,2. ამ მადალ შედეგს მან მიაღწია „უაიტ-სიტის“ სტადიონზე გამართულ შეჯიბრებაში.**

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲐᲖᲔ

ᲰᲐᲐᲒᲐ, 4 ივნისი. **ჰოლანდიურმა კლუბმა „ადომ“ თავისი ქვეყნის თასის გათამაშებაში უეცლას აჯობა და მოიპოვა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის შემდგომ გათამაშებაში მონაწილეობის უფლება.** ეს გუნდი ბოლო 9 წლის მანძილზე ხუთჯერ გავიდა ფინალში და მხოლოდ ახლა მიაღწია სწადელს.

ᲙᲐᲚᲔᲚᲘ, 4 ივნისი. აქ გამართულ ამხანაგურ მატჩში ინგლისელებმა დაამარცხეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი. ანგარიში ისეთივეა (1:0), როგორითაც ამ დღეებში ჰანოვერში გფრ-ის ნაკრებმა მოუგო შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონებს, მაგრამ ეს რევანშად არ შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან კალელში ერთმანეთს ეთამაშნენ ნაკრები გუნდები, რომელთა წევრების ასაკი 23 წელზე მეტი არ იყო.

ᲡᲐᲜ-ᲮᲝᲡᲔ, 4 ივნისი. გვატემალის ნაკრები ოლიმპიური ფინალური ტურნირის მონაწილე გახდა. გასულ კვირას გამართულ პირველ შესარჩევ მატჩში იგი კოსტა-რიკის ნაკრებთან დამარცხდა (0:1). როდესაც საპასუხო მატჩის ძირითადი დრო ამოიწურა, საერთო ანგარიში გათანაბრდა — 3:3. დამატებითმა დრომ შედეგი არ გამოიღო და ოლიმპიური საგზურის ბედი კენჭისყრამ გადაწყვიტა.

ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲒᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲒᲐᲡ

ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ა. მორეირამ გამოაცხადა გუნდის შემადგენლობა, რომელიც ევროპაში შეიმგზავრება. მან თქვა, რომ ხანგრძლივი დავის მიუხედავად, „სანტოსის“ ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა ნაკრებს დაუთმოს პელე, თუმცა დანარჩენ მოთამაშეებს საამისო ნებართვა მისცა.

აი, ბრაზილიელთა შემადგენლობა: **მეკარეები** — პიკასო („სან-პაულუ“) და ლულა („კორინტიანსი“); **დაცვა** — კ. ალბერტო („სანტოსი“), ზ. მარია („პორტუგეზა“), ჟურანდირი („სან-პაულუ“), ბრიტო („ვასკო და გამა“), დიასი („სან-პაულუ“), ქოელი („სანტოსი“), რილდო („სანტოსი“); **ნახევარდაცვა** — სადი („ინტერნაციონალი“), პიაცა („კრუზეირო“), დანიელსონი („ფლუმინენსე“); **თავდასხმა** — ჯ. ბორგესი („კორინტიანსი“), ნატალი („კრუზეირო“), რიველინიო („კორინტიანსი“), გერსონი („ბოტაფოგო“), ცეზარი („ფლამენგო“), რობერტო („ბოტაფოგო“), ტოსტაო („კრუზეირო“), ჟაირზინიო („ბოტაფოგო“), ედუ („სანტოსი“) და ედუარდო („კორინტიანსი“).

მორეირას ცნობით, ჯ. სანტოსი ევროპაში არ გაემგზავრება, მაგრამ მონაწილეობას მიიღებს ორ მატჩში ურუგვაელებთან (9 ივნისს სან-პაულუსა და 12 ივნისს რიო-დე-ჟანეიროში). ამის შემდეგ ჯ. სანტოსს 100 მატჩი ექნება ჩატარებული ნაკრებში.

ᲣᲔᲤᲐ-Ს ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ — ᲚᲐᲘᲞᲪᲘᲒᲨᲘ

უეფა-ს სამდივნომ გადაწყვეტილება მიიღო ევროპის მორიგი არაოფიციალური ჩემპიონატი ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის ლაიპციგში ჩაატაროს გაისად, 17-27 მაისს. მის დასკვნით ეტაპზე მონაწილეობას მიიღებს 16 გუნდი, რომლებმაც წინასწარ, შესარჩევ შეჯიბრებებში უნდა გაიმარჯვონ. შესარჩევი თამაშებიდან განთავისუფლებული არიან მხოლოდ ჩეხოსლოვაკია (უეფა-ს წინა ტურნირში გამარჯვებული) და გდრ (შეჯიბრების ორგანიზატორი).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ

კომკავშირის ლვოვის საქალაქო კომიტეტში ათლეტური ტანვარჯიშის მოყვარულთა კავშირი შარშან შეიქმნა. ახლა ლვოვში კულტურიზმის ექვსი სექცია მუშაობს, რომლებშიც 300-ზე მეტი კაცია ჩაბმული.

სურათზე: ერთ-ერთი სექციის წევრები ვარჯიშში.

ფოტო ბ. კრიშტულისა (აახ-ი).

ᲘᲐᲮᲢᲔᲑᲘᲗ... ᲣᲓᲐᲑᲜᲝᲨᲘ

პრაღა, 3 ივნისი. ხუთი მამაცი სპორტსმენი აქედან სამი სახმელეთო, ბორბლებიანი იახტით გაემგზავრა შუა უდაბნოსკენ. იახტები გაკეთებულია მოსკოვის კუიბიშევის რაიონის ტურისტთა კლუბში.

ბორბლებზე შემდგარი იახტა ახალი ამბავი არაა. მას ჯერ კიდევ უძველეს დროში იყენებდნენ. იახტის მეორედ დამადებას ხელი შეუწყო მსუბუქი და მტკიცე შენადნობების, აგრეთვე, სინთეტური მასალებისგან დამზადებული აფრების გაჩენამ.

შორეული და ხანგრძლივი ლაშქრობის მონაწილეებმა, რომელთა შორის „კომსომოლსკაია პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტი ვ. პესკოვიც არის, სტარტი აიღეს პატარა სარკინიგზო ასაქცევის სადგისა და აულ ამანუტკულის მიმართულებით. პირველი შესვენება. ჩხილორდინის ოლქის საზღვრამდე მოგზაურებს მიაცილებს ყაზახეთის ალკა არალის რაიკომის პირველი მდივანი კ. აიბუსინოვი.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲠᲐᲣᲜᲓᲘ ᲐᲡᲔ ᲤᲐᲠᲘᲛᲐᲠᲗᲐ

ევროპის ზონაში დევისის თასის გათამაშების II წრის მატჩებიდან მხოლოდ სსრ კავშირ — იუგოსლავიის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრის დაწვრილებითი შედეგები შეგატყობინეთ. ამჯერად სხვა მატჩების ტექნიკურ ცნობებს გაწვდით.

„ა“ ჯგუფი

ესპანეთი — შვეიცია 4:1. გისბერტი — ბენგტსონი 6:2, 6:2, 6:3; სანტანა — ნერელი 6:1, 6:4, 6:2; სანტანა, არილია — ბენგტსონი, ნერელი 4:6, 5:7, 6:4, 5:7; გისბერტი — ნერელი 10:8, 6:0, 7:9; 3:6, 7:5; სანტანა — ბენგტსონი 6:3, 6:3, 6:4.

დიდი ბრიტანეთი — ფინეთი 5:0. სანგსტერი — საილა 6:4, 8:6, 6:4; კოჭსი—პედერსენ-დიუგვე 6:2, 6:4, 6:0; ვილსონი, ჰატჩინსი — საილა, პედმანი 6:1, 6:2, 6:1; სანგსტერი — პედერსენ-დიუგვე 7:5, 6:2, 6:2; კოჭსი — საილა 6:4, 4:6, 6:1, 6:4.

სსრ კავშირი — იუგოსლავია 5:0.

იტალია — მონაკო 5:0. პიეტრანჯელი — ვატრიცანო 6:1, 6:2, 6:3; მალიგანი — ტრუოხი 6:0, 6:0, 6:1; კასტილიანი, დი მატეო—ტრუოხი, მანიგლეი — 6:3, 6:1, 6:3; მალიგანი — მანიგლეი 6:0, 6:0, 6:1; კასტილიანი — ტრუოხი 6:2, 6:2, 6:1.

„ბ“ ჯგუფი

გფრ — ბულგარეთი 5:0. ბუდინგი — ველევი 6:4, 6:1, 6:3; ბუნგერტი — იაშმაკოვი 6:2, 6:0, 7:5; მაიერი, ფახბაენდერი — იაშმაკოვი, ველევი 11:9, 6:2, 6:2; ბუდინგი — იაშმაკოვი 6:3, 6:2, 6:2; ბუნგერტი — ველევი 2:6, 6:1, 6:2, 6:3.

ჩეხოსლოვაკია — ბელგია 3:2. კოდეში — დროსარი 4:6, 6:3, 4:6, 6:2, 6:1; ბოლოჩეკი — ჰომბერგენი 4:6, 5:7, 6:3, 7:9; კოდეში, ბოლოჩეკი — დროსარი, დე გრონკელი 6:3, 6:1, 6:2; კოდეში — ჰომბერგენი 6:3, 6:2, 4:6, 2:6, 4:6; ბოლოჩეკი — დროსარი 6:3, 6:2, 3:6, 5:7, 6:2.

რუმინეთი — ნორვეგია 5:0. ნასტასე — ფრიტიოფი 4:6, 6:0, 8:6, 6:0; ცირიაკი — ელვიკი 6:2, 6:2, 6:4; ნასტასე, ცირიაკი — მელანდერი, როსი — 6:2, 8:6, 6:3; ნასტასე — ელვიკი 6:2, 6:3, 6:1; ცირიაკი — პრიდი 6:1, 6:4, 6:2.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა — ირანი 5:0. ჰევიტი — აბბარი 6:4, 10:8, 6:3; მაუდი — ჰოდაი 6:3, 6:3, 6:3; მაკმილანი, ჰევიტი — ნემატი, ჰოდაი 6:2, 6:2, 6:2; ჰევიტი—ჰოდაი 6:4, 6:1, 6:2; მაუდი — აბბარი 7:5, 6:3, 6:1.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲓᲦᲘᲡ, ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ I ᲙᲣᲠᲡᲖᲔ

ინსტიტუტი ამზადებს ფიზაღზრდის მასწავლებლებსა და მწვრთნელებს (სპორტის სახეობათა მიხედვით). დღის ფაკულტეტებზე სწავლის ვადა 4 წელია, საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე — 5 წელი.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ 20 ივნისიდან 31 ივლისამდე ინსტიტუტის რექტორის სახელზე, ფაკულტეტისა და სპეციალობის აღნიშვნით და დაურთონ შემდეგი საბუთები:

1. დახასიათება-რეკომენდაცია, რომელიც გაიცემა ბოლო სამუშაო ადგილიდან (იმ პირთათვის, ვისაც აქვს პრაქტიკული მუშაობის სტაჟი) პარტიული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე, საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელობისა და კოლმეურნეობის გამგეობის (კოლმეურნეთათვის) მიერ. სკოლადამთავრებულებს დახასიათება-რეკომენდაციას აძლევენ სკოლის პედაგოგიური საბჭო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები,
2. საშუალო განათლების საბუთი (დედანი),
3. 3×4 სმ ზომის 4 ფოტოსურათი,
4. საკლასიფიკაციო ბილეთი სპორტის არჩეულ სახეობაში,
5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმო-დაწესებულებათა მიერ; კოლმეურნეთათვის — კოლმეურნეობის გამგეობის მიერ დამოწმებული ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნიდან, რომელშიც ცალცალკე უნდა იყოს მითითებული შრომადღეების დაწესებული მინიმუმი ბოლო ორ წელიწადში,
6. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286),
7. პირადად უნდა წარმოადგინონ პასპორტი, სამხედრო ბილეთი (თადარიგის სამხედრო ვალდებულებმა) ან მიწერის ცნობა (გასაწვევი ასაკის პირებმა).

მისაღები გამოცდები ტარდება 1-20 აგვისტოს შემდეგ საგნებში:

ა) ფიზიკაში (ზეპირი),

ბ) ქიმიაში (ზეპირი).

გ) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) — ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის,

დ) რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) — რუსულ სექტორზე შემსვლელთათვის,

ე) სპეციალობაში (სპორტის არჩეული სახეობა, აგრეთვე, მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ცურვა).

გამოცდები ტარდება სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.

ინსტიტუტში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით, სტიპენდიითა და სპორტული ფორმით (დადგენილი წესის მიხედვით).

ცნობების გაცემა წარმოებს მისაღები გამოცდების სამდივნოში.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲗᲐ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ I ᲙᲣᲠᲡᲖᲔ

კურსდამთავრებულნი იღებენ საშუალო განათლებას და მწვრთნელის კვალიფიკაციას. სწავლის ვადა 3 წელია. სკოლაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომელთაც აქვთ არასრული საშუალო განათლება და არანაკლებ II თანრიგისა სპორტის რომელიმე სახეობაში.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე (ჩათვლით) შემდეგ სპეციალობებზე: მძლეოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა, ძალოსნობა, ველოსპორტი, ცურვა.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის რექტორის სახელზე, არჩეული სპეციალობის აღნიშვნით.

განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) საბუთი განათლების შესახებ (დედანი),

ბ) ავტობიოგრაფია,

გ) სკოლის ან რაიონული პოლიკლინიკის ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა № 286 ფორმის მიხედვით,

დ) 3 ფოტოსურათი (3×4 სმ ზომისა).

ე) ისინი, ვისაც აქვს მუშაობის სტაჟი არანაკლებ 2 წლისა, წარმოადგენენ ამონაწერს შრომის წიგნაკიდან, ხოლო კოლმეურნეები— ამონაწერს საკოლმეურნეო წიგნიდან (საბუთი დამოწმებული უნდა იყოს საწარმოს ხელმძღვანელის ან კოლმეურნეობის გამგეობის მიერ).

პირადად უნდა იქნას წარმოდგენილი დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის ცნობა (სამხედრო ვალდებულთათვის).

მისაღები გამოცდები ტარდება 1-20 აგვისტოს შემდეგ დისციპლინებში:

ა) ქართულ ენაში (წერა) — ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის, რუსულ ენაში (წერა) — რუსულ სექტორზე შემსვლელთათვის,

ბ) მათემატიკაში (ზეპირი),

გ) სპეციალობაში (სპორტის არჩეული სახეობა, აგრეთვე, ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა).

გამოცდები ტარდება სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.

მწვრთნელთა სკოლაში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით, სტიპენდიით და სპორტული ფორმით (არსებული წესის თანახმად).

ცნობების გაცემა წარმოებს მისაღები გამოცდების სამდივნოში.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 ᲣᲔ 03278